პრ ოექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №___

2026 წლის --- ნოემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის N8 (გ-49.4926028001) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე’’ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის N8 (გ-49.4926028001) განკარგულებაში და ამ განკარგულებით დამტკიცებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიამ.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მ. უგლავა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი: გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რ. დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482631564**
თარიღი: **11/11/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას დანართი N1-ის სახით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმას დანართი N2-ის სახით.

გთხოვთ, თქვენს შემდგომ რეაგირებას.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი გეგუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-1340 კვ.მ შენობა-ნაგებობა N1 398.67 კვ.მ	29.14.37.451
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი წყალტუბო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-45 კვ.მ შენობა-ნაგებობა N1 34,38 კვ.მ	29.05.36.176
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული ნაგებობით	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი ფარცხანაყანევი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-100 კვ.მ ნაგებობა N1	29.11.35.578
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი გეგუთი, 1-ლი ქუჩა N13-ის აღმოსავლეთით	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი -100 კვ.მ	29.14.37.711
5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი პატრიკეთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი -119 კვ.მ	29.17.32.636

N	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება	ქონების ადგილ-მდებარეობა	გამოშვების წელი.	სახელმწიფო ნომერი	საიდენფიკაციო კოდი
1	TOYOTA PRADO	ქ. წყალტუბო, რუსთაველის N25	2008	UU 901 UQ;	JTEBU29J905129678;

N	ქონების დასახელება	ქონების ადგილმდებარეობა	შენიშვნა
1	ავტომანქანა FORD-SCORPIO	ქ. წყალტუბო, რუსთაველის N25	უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის.
2	ავტომანქანა FORD COUNTOUR	ქ. წყალტუბო, რუსთაველის N25	უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის.
3	ავტომანქანა MITSUBISHI OUTLENDER "	ქ. წყალტუბო, რუსთაველის N25	უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის.
4	ავტომანქანა MERSEDES-BENZ E 280	ქ. წყალტუბო, რუსთაველის N25	უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის.